ანტიოქიის საპატრიარქოში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო სასწავლებლების სტუდენტების სასწავლო მოგზაურობა დაიწყო

2021 წლის 21 ოქტომბერს ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქის იოანე X-ისა და კიევისა და სრულიად უკრაინის უნეტარესი მიტროპოლიტის ონოფრეს ლოცვა-კურთხევით, ანტიოქიის საპატრიარქოში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო სასწავლებლების სტუდენტების საგანმანათლებლო მოგზაურობა დაიწყო.

სტუდენტთა ჯგუფის შემადგენლობაში შევიდნენ მღვდელმონაზონი ნესტორი (ჩაიკა) და კირილე

ნეგრუცა (კიევის სასულიერო აკადემია და სემინარია), ნიკიტა მასლოვი (ოდესის სასულიერო სემინარია), ვადიმ ტომაშევსკი (პოჩაევის სასულიერო სემინარია), სტეპან სენჩუკი (ვოლინის სასულიერო სემინარია).

სტუდენტებთან ერთად ლიბანში ჩავიდა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე, კიევის სასულიერო აკადემიის პროფესორი დეკანოზი ნიკოლოზ დანილევიჩი.

მოგზაურობის პირველ დღეს, 22 ოქტომბერს, დეკანოზმა ნიკოლოზმა ადგილობრივ სტუდენტებთან წაიკითხა ლექცია „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია: ისტორია და თანამედროვეობა“.

სასწავლო მოგზაურობა ითვალისწინებს ლექციებზე დასწრებას ბალამანდის უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე (ლიბანი), არაბული ენის შესწავლას, ყველაზე ცნობილი ტაძრების, მონასტრებისა და სხვა სიწმინდეების მოლოცვას, ანტიოქიის საპატრიარქოს სამრევლო და სამონასტრო ცხოვრების გაცნობას.

უკრაინის სასულიერო სასწავლებლების სტუდენტთა ჯგუფს ბალამანდის უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო ფაკულტეტის დეკანი არქიმანდრიტი იაკობი (ხალილი) კურირებს.

საგანმანათლებლო მოგზაურობა სამი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

უმე-ს საინფორმაციო და საგანმანათლებლო განყოფილება/

სსკგ-ს კომუნიკაციის სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88292/